ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 352

"17" სექტემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩა №13-27/40-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების (ს/კ№01.15.04.027.005, 01.15.04.027.006) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელიტარული ჩაის სახლისთვის" (ს/კ№202222068) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 25 აგვისტოს №34.18.1012 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩა №13-27/40-ის მიმდებარედ 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.15.04.027.005) და ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩა №13-27/40-ის მიმდებარედ 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.15.04.027.006) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელიტარული ჩაის სახლისთვის" (ს/კ №202222068) იჯარით გადაცემაზე.

2. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა განისაზღვროს 8400 (რვა ათას ოთხასი) ლარით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 1 მაისამდე.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი